ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 13
(გამარტივებული შესყიდვა)

ერთი მხრივ, " სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ თბილისის N 62 საჯარო სკოლა.'' (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის მ.შ. ელენე შაბურიშვილის სახით და მეორე მხრივ, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ჭულუხაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „1" თანმშრომლისათვის (დოდო ჩხარტიშვილი) ტრენინგის ორგანიზება და ჩატარების (სასწავლო კურსების დასახელება - „სახელმწიფო შესყიდვები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის'' ; ,,საგადასახადო კანონმდებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის" და ინვენტარიზაციის ჩატარების და ქონების ჩამოწერის პროცედურები") (CPV კოდი 80530000) მომსახურების შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარი;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება ერთი მსმენელისათვის შეადგენს 300 (სამასი) ლარს;

3.3. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი;

3.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული 27.5 (ოცდაშვიდი საათი და 30 წუთი) საათიანი სასწავლო პროგრამის ჩატარების უზრუნველყოფა, ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით, ონლაინ, ვიდეოკონფერენციის ჩატარების გზით.

4.1.2. მომსახურების გაწევა განახორციელოს სათანადო გამოცდილების, ცოდნისა და უნარების მქონე ტრენერის მეშვეობით;

4.1.3. მსმენელ(ებ)ი შესაბამისი სასწავლო მასალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.1.4. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველა აუცილებელი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასწავლო პროცესების დასრულების შემდგომ გასცეს შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი

სერთიფიკატი მსმენელის მიერ, სასწავლო პროგრამის (სასწავლო ხასიათის პროექტის) მხოლოდ „სასწავლო პროცესების მარეგულირებელი ინსტრუქციით“ დადგენილი ზღვარის გადალახვის შემთხვევაში;

4.1.5. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.6. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

4.2.1. სასწავლო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი, ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2.3. კონფიდენციალურად შეინახოს მის მიერ სასწავლო პროცესის დროს გამოყენებული მასალები და არ დაუშვას მათი მესამე პირისათვის გადაცემა შემდგომი გამოყენების მიზნით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. კონტროლს განახორციელებს : სკოლის უფლებამოსილი წარმომადგენელი

5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

6.2. ,,მიმწოდებელი“-ის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტებზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის მოადგილე - გიორგი რაზმაძე.

6.3. მომსახურების მიღებას აწარმოებს: სკოლის უფლებამოსილი წარმომადგენელი

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწნებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. ამ მუხლის მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს და ვერ მიიღებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ„ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა“

ს/კ #211351605

ს.ს. “ ლიბერთი ბანკი“

ბ/კ # LBRTGE22

ა/ა # GE04LB0121134002649001

დირექტორის მ/შემსრულებელი

ელენე შაბურიშვილი

მიმწოდებელი

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ჭულუხაძის სახით

ს/კ 206348987

მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიში № 707967150

_____

ტარიელ ჭულუხაძე